სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

დეკემბერი №23

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-38

instruqcia / **Instructions** ----------39-40

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 41-45

auqcioni / **Auction** ---------- 46-48

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ------ 49-56

gadasaxadebi #23, 2018

GADASAKHADEBI #23, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 126) მე-3 მუხლის „ტ3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ^{3}) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი – ნორმატიული აქტით დადგენილი ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლები, ვადები და წესები;“.

მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2019 წლის 1 ივლისამდე განახორციელონ ღონისძიებები სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 14 ნოემბერი 2018 წ.

N3719-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 11.07.2007, მუხ. 244) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი – იმ ინფექციური დაავადებების სია, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრა, და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლები, ვადები და წესები;“.

2. მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) დაიცვას პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში.“.

მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2019 წლის 1 ივლისამდე განახორციელონ ღონისძიებები სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 14 ნოემბერი 2018 წ.

N3720-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №578

2018 წლის 10 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველო შეუერთდეს „სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ“ 2001 წლის 3 ნოემბრის მადრიდის საერთაშორისო ხელშეკრულებას.

მუხლი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ხელშეკრულების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, როგორც ხელშეკრულების დეპოზიტარს, ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე;

გ) აცნობოს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ხელშეკრულების 22.3 მუხლის თანახმად, რომ იმ დავასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ გადაწყდება 22.1 მუხლის ან 22.2 მუხლის შესაბამისად, საქართველო სავალდებულოდ აღიარებს 22.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №579

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/09/2018, 010240030.10.003.020784) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. **მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

2. **მე-6 მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა“ – „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) „შ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჩ“ ქვეპუნქტი:

„ჩ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, საქართველოს

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის მომზადების უზრუნველყოფა.“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ – „ნ“ ქვეპუნქტები:

„კ) მინისტრის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს თანამშრომლების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება, აგრეთვე მინისტრისა და მინისტრის მოადგილეებისათვის უცხო ქვეყნის ოფიციალური დელეგაციების ვიზიტისას საპროტოკოლო ღონისძიებების გატარება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლ) საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების პროტოკოლის სამსახურებთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოებთან თანამშრომლობა;

მ) სამინისტროს ხელმძღვანელობით, სხვადასხვა სახის ფორუმის, სემინარის, კონფერენციისა და სხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება;

ნ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მისი მოადგილეების დიპლომატიური პასპორტებით უზრუნველყოფა, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი პასპორტებით უზრუნველყოფა.";

ე) მე-5 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ" – „ქ" ქვეპუნქტები:

„მ) სამინისტროს სისტემაში სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და აღმოჩენა, მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

ნ) სამინისტროს სისტემაში სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით ინსპექტირების ჩატარება, ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

ო) სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების თაობაზე ინფორმაციის შემცველი განცხადებებისა და წერილების შესწავლის შედეგად დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

პ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმების შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე სამინისტროსათვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

ჟ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

ს) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მისი თანამშრომლების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ წინადადებების მინისტრისათვის წარდგენა;

ტ) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დაცვის კონტროლი და სამსახურებრივი ინსპექტირების განხორციელება;

უ) სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

ფ) სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ქ) საქმიანობის პროცესში მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის, განმარტებისა და დოკუმენტის მოთხოვნა/მიღება, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), ადგილზე გაცნობისათვის პირობების შექმნის მოთხოვნა, დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენის მოთხოვნა, დოკუმენტის ასლების მიღება, სამინისტროს სისტემის ნებისმიერი თანამშრომლის შესაბამისი ინფორმაციის ან განმარტების მიღების მიზნით გამოძახება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 10 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №443

2018 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 48-ე - 52-ე **მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 48. მალფუჭებად საქონელზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია

1. მალფუჭებად საქონლად ითვლება საქონელი, თუ მისი შენახვის ვადის გასვლამდე დარჩენილია 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები. აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომლის ვარგისიანობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნისა და შენახვის ხარჯების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მისი დროული რეალიზაცია.

2. მალფუჭებად საქონელზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში.

3. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია ხორციელდება ინტერნეტაუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის გზით. მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია ინტერნეტაუქციონის გზით ხორციელდება ვებგვერდის – www.eauction.ge-ის მეშვეობით.

მუხლი 49. გადაწყვეტილება ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ

1. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ან უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გადასახადის გადამხდელისთვის წარდგენა ხორციელდება ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

3. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად (გარდა ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეკვიზიტებისა) უნდა შეიცავდეს ინფორმაციას რეალიზაციის ფორმის (ინტერნეტაუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის) შესახებ.

მუხლი 50. ინტერნეტაუქციონის ჩატარების შესახებ მონაცემების ვებგვერდზე განთავსება

1. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის ინტერნეტაუქციონის გზით რეალიზაციისთვის, სავალდებულოა ინტერნეტაუქციონის შესახებ საჯარო განცხადების განთავსება ვებგვერდზე – www.eauction.ge და www.rs.ge.

2. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის ინტერნეტაუქციონის გზით რეალიზაციისთვის, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას და მასში მითითებული მონაცემების განთავსებას ვებგვერდზე ,,www.eauction.ge“ უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი, ამ წესის 49-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ამ პუნქტში აღნიშნული პირი ასევე ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

3. ინტერნეტაუქციონის შესახებ საჯარო განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

ა) ინტერნეტაუქციონის დაწყების და დასრულების დრო, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მონაცემების ვებგვერდზე – www.eauction.ge განთავსებიდან ანუ ინტერნეტაუქციონის დაწყებიდან 7 კალენდარულ დღეს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მალფუჭებადი საქონლის დასახელება (საქონლის მნიშვნელოვანი მახასიათებლები) და მდებარეობა;

გ) საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის თარიღი (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

დ) ქონების საწყისი ფასი;

ე) ინტერნეტაუქციონის ჩატარების პირობები და წესი (დეპოზიტზე შესატანი თანხის ოდენობა, ბიჯის სიდიდე და სხვ.).

4. დამატებითი ინფორმაციის განთავსების საჭიროების საკითხს განსაზღვრავს შესაბამისი საგადასახადო ორგანო.

მუხლი 51. პირველი და განმეორებითი ინტერნეტაუქციონი

1. მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის მიზნით პირველი ინტერნეტაუქციონი უნდა დაიწყოს ვებგვერდზე – www.eauction.ge ამ წესის 50-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების განთავსებისთანავე, დაუყოვნებლივ.

2. თუ პირველ ინტერნეტაუქციონზე ვერ განხორციელდა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია, უფლებამოსილი საგასასახადო ორგანო ატარებს განმეორებით ინტერნეტაუქციონს.

3. მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის მიზნით განმეორებითი ინტერნეტაუქციონის დაწყების (ამ წესის 50-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების განთავსების) დროს და რაოდენობის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო.

მუხლი 52. ინტერნეტაუქციონის პირობები

1. ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ვებგვერდზე რეგისტრაცია;

ბ) რეგისტრაციის დროს ინტერნეტაუქციონის წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება.

2. ინტერნეტაუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე მონაწილე იხდის საგარანტიო თანხას, რომელიც არის სარეალიზაციოდ გამოტანილი მალფუჭებადი საქონლის საწყისი ღირებულების არანაკლებ 10% და რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება მალფუჭებადი საქონლის შესაძენად გადახდილი თანხის ანგარიშში. საგარანტიო თანხის გადახდა შესაძლებელია საბანკო პლასტიკური ბარათის გამოყენებით ან ვებგვერდის – www.eauction.ge ერთიანი ანგარიშსწორების სისტემის საშუალებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. ინტერნეტაუქციონის დროს ფასის მატება ხდება ვაჭრობის ბიჯით, რაც ჩანს ონლაინრეჟიმში. ფასის მატების ბიჯი შეადგენს სარეალიზაციოდ გამოტანილი მალფუჭებადი საქონლის საწყისი ღირებულების 1%-ს.

4. ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულად ითვლება მონაწილე, რომლის მიერ ინტერნეტაუქციონის დასრულებამდე შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

5. ინტერნეტაუქციონი ცხადდება დასრულებულად აუქციონის ვადის ამოწურვისთანავე. თუ ნებისმიერი მონაწილის მიერ „ფასის დადება“ მოხდა აუქციონის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი ორი წუთის განმავლობაში, აუქციონის ვადა ხანგრძლივდება ორი წუთით.

6. ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულმა (ქონების შემძენმა) შესყიდვის ფასი სრულად უნდა დაფაროს ინტერნეტაუქციონის შესახებ განცხადებაში მითითებულ ანგარიშსწორების ანგარიშზე, აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

7. თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხის ოდენობა ქონების შესყიდვის ფასზე მაღალია ან მისი ტოლია, საგადასახადო ორგანო ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შეტანილ საგარანტიო თანხას წარმართავს ქონების შესყიდვის ფასის სრულად დასაფარავად, ხოლო ნამეტ თანხას, არსებობის შემთხვევაში, უბრუნებს აუქციონში გამარჯვებულ პირს.

8. ინტერნეტაუქციონზე მალფუჭებადი საქონლის საწყისი ფასი განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებიდან.

9. პირველად გამოცხადებულ ინტერნეტაუქციონზე ქონების საწყისი ფასი არის მალფუჭებადი საქონლის საბაზრო ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო განმეორებით ინტერნეტაუქციონზე მალფუჭებადი საქონლის საბაზრო ღირებულების 25 პროცენტი.

10. პირს, რომელიც ვერ გაიმარჯვებს ინტერნეტაუქციონში, საგარანტიო თანხა დაუბრუნდება ინტერნეტაუქციონის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

11. თანხის სრულად დაფარვამდე ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულ პირს არ გააჩნია მალფუჭებადი საქონლის განკარგვის უფლება.

12. თუ ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის შესაბამის თანხას, ის კარგავს ყოველგვარ უფლებას შეძენილ მალფუჭებად საქონელზე და საგარანტიო თანხაზე.

13. თუ განმეორებით ინტერნეტაუქციონზე ვერ განხორციელდა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია, შესაძლებელია იგი დაუბრუნდეს გადასახადის გადამხდელს.“.

2. **დანართი №26 ამოღებულ იქნეს.**

3. 53-ე – 55-ე **მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 53. მალფუჭებადი საქონლის პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაცია

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია განახორციელოს პირდაპირი მიყიდვის გზით.

2. თუ ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ხორციელდება ინტერნეტაუქციონის ჩატარებამდე, მაშინ სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება საბაზრო ღირებულების ოდენობით.

3. თუ ინტერნეტაუქციონზე არ მოხდა ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციისას მისი ფასი განისაზღვრება ამ ინტერნეტაუქციონზე მითითებული საწყისი ფასის ოდენობით.

4. საგადასახადო ორგანო ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის პირდაპირი მიყიდვის გზით შეძენის მსურველ პირს აძლევს წერილობით თანხმობას ამ საქონლის რეალიზაციის თაობაზე, რომელიც ვალდებულია თანხმობის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს შესაბამისი თანხა.

მუხლი 54. მალფუჭებად საქონელზე ყადაღის მოხსნა

მალფუჭებად საქონელზე ყადაღა მოხსნილად ითვლება:

ა) ინტერნეტაუქციონზე ან პირდაპირი მიყიდვის გზით მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციისა და რეალიზაციის თანხის სრულად დაფარვისთანავე;

ბ) თუ ინტერნეტაუქციონზე ან პირდაპირი მიყიდვის გზით ვერ განხორციელდა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია და იგი დაუბრუნდა გადასახადის გადამხდელს;

გ) თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის გაყიდვა და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

მუხლი 55. შეძენილ მალფუჭებად საქონელზე უფლების მიღება

1. თანხის სრული გადახდისთანავე მყიდველს ეძლევა მალფუჭებადი საქონლის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატი (დანართი №27), რომელსაც გასცემს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო.

2. სერტიფიკატში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) საგადასახადო ორგანოს დასახელება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) რეალიზაციის ფორმა (ინტერნეტაუქციონი ან პირდაპირი მიყიდვა);

გ) რეალიზაციის დრო (რიცხვი/თვე/წელი);

დ) შეძენილი მალფუჭებადი საქონლის დასახელება;

ე) მყიდველის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

ვ) გადახდილი თანხის ოდენობა (დღგ-ის ჩათვლით);

ზ) დღგ-ის თანხა.“.

4. **დანართი №27 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 20 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დანართი №27

შემოსავლების სამსახური

მალფუჭებადი საქონლის საკუთრების დამადასტურებელი

სერტიფიკატი

1. ----------

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

2. ----------

(რეალიზაციის ფორმა)

3. ----------

(რეალიზაციის დრო)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ----------

(შეძენილი მალფუჭებადი საქონლის დასახელება)

5. ----------

(მყიდველის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

6. ----------

(გადახდილი თანხა დღგ-ის ჩათვლით)

7. ----------

(დღგ-ის თანხა)

8. ----------

(სერტიფიკატის გაცემის თარიღი)

9. ----------

(საგადასახადო ორგანოს უფროსის ხელმოწერა)

ბ.ა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №446

2018 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-18 მუხლის**:

ა) მე-3 პუნქტის:

ა.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით გასატანი საქონელი, რომელიც, დადგენილი წესის შესაბამისად, დეკლარირდება ზეპირად ან ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის საგადასახადო დოკუმენტის (შემდგომში – სდ) წარდგენით;“;

ა.ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) იმპორტში გაცხადებული დაბრუნებული საქონელი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი იყო გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ზედნადების ან სდ-ის წარდგენით ან აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის შემთხვევაში – ზეპირი დეკლარირებით;“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„7. ექსპორტით გასატანი, ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონელი (გარდა შავი, ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა) სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით დეკლარირებას ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტში.“.

2. 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ექსპორტით გასატანი, ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლის (გარდა შავი, ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა) დეკლარირება შესაძლებელია საბაჟო გამშვებ პუნქტში სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით.“.

3. 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) იმპორტში გაცხადებული დაბრუნებული საქონელი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი იყო გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ზედნადების ან სდ-ის წარდგენით ან აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის შემთხვევაში – ზეპირი დეკლარირებით;“.

4. 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის საქართველოდან გატანის დროს, გარდა ამ საქონლის გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით დეკლარირების შემთხვევისა;“.

5. „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის“ (დანართი №XI-01):

ა) III ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, თქვენი სურვილისამებრ შეგიძლიათ შეავსოთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ ან წარადგინოთ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, ან განახორციელოთ დეკლარირება სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით.“;

ბ) „მნიშვნელოვანი ინფორმაციის“ მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ თქვენ მიერ საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს და მეტს, ან/და საქონლის გატანისათვის საჭიროა ნებართვა/ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. 55-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ა[1]“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით (გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა). ამასთან, თუ საქონლის ექსპორტი ექვემდებარება ლიცენზირებას ან/და ნებართვას ან/და სერტიფიცირებას ან/და სხვა არასატარიფო ღონისძიებას, შესაბამისი დოკუმენტები საბაჟო გამშვებ პუნქტს წარედგინება სასაქონლო ზედნადებთან/სდ-სთან ერთად, ხოლო საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 2201 10 190 01 და 2201 10 190 02 სასაქონლო ქვესუბპოზიციებით გათვალისწინებულ, არანაკლებ 1 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე აგრეთვე წარედგინება შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი: მწარმოებლის მიერ გაცემული შესაბამისობის დეკლარაცია ან სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი;

ა[1]) მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – საბაჟო გამშვებ პუნქტში ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით, რომელთან ერთადაც წარედგინება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;“.

7. 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ექსპორტით გასატანი საქონლის სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას ზედნადების/სდ-ის წარდგენილი ეგზემპლარების უკანა გვერდზე მიეთითება გაშვების ნებართვის დამადასტურებელი აღნიშვნა.“.

8. 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განახორციელოს საქონლის დეკლარირება სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით, ან;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №447

2018 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1054	4694	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი
1062	4702	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა“;

2. ბიუჯეტის განმკარგველის – 1451 – ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

„1452	5092	ააიპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“
1453	5093	ააიპ „ახალგორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-54/ნ

2018 წლის 11 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-2/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-2/ნ ბრძანებაში (www. matsne.ge; 10/01/2018; 470030000.22.035.016485) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3

ბრძანება, გარდა პილოტური პროექტის განმახორციელებელი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისთვის, ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან, ხოლო პილოტური პროექტის განმახორციელებელი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისთვის ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-55/ნ

2018 წლის 11 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-1/ნ ბრძანებაში (www. matsne.ge; 10/01/2018; 470010000.22.035.016484) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3

ბრძანება, გარდა პილოტური პროექტის განმახორციელებელი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის, ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან, ხოლო პილოტური პროექტის განმახორციელებელი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-56/ნ

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

,,ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებაში (სსმ, 78, 31/07/2003) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ფარმაცევტულ საბითუმო ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი)**:

ა) მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ ტექსტსა და დანართებში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - მინისტრი) შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.'';

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. ბაზაში ფსიქოტროპული ნივთიერებები, პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების სახით) და ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში (ოთახებში), ცეცხლგამძლე სეიფში (სეიფებში); ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქხმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები; ბაზა, სადაც ინახება ამ პუნქტით გათვალისწინებული ნივთიერებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ ბაზა ვერ უზრუნველყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა და გაცემა დასაშვებია განხორციელდეს დადგენილი საცავიდან მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, რაზეც ფორმდება შესაბამისი დოკუმენტი. აღნიშნულ საცავში ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი შეესაბამება ბაზიდან ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესს.‘‘.

2. ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის (აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემისა და რეალიზაციის წესი):

ა) მე-4 პუნქტის ,,გ‘‘ და ,,დ‘‘ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ნარკოტიკული საშუალების ყოველი გაცემისას ფიზიკურ პირზე გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმით;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.‘‘;

ბ) მე-5 პუნქტის ,,დ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) სიმპტომურ მკურნალობაზე მყოფ ონკოინკურაბელური და სომატური ავადმყოფებისათვის ნარკოტიკული საშუალებების არატერიტორიული პრინციპით გაცემა (რეალიზაცია) სამინისტროს თანხმობის გარეშე.‘‘.

3. ბრძანებით დამტკიცებული №3 დანართის (ფარმაცევტულ საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გამოყენებისა და გაცემის წესი) მე-3 პუნქტის:

ა) ,,გ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

,,გ) ნარკოტიკული საშუალებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოებისას, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალს, უზრუნველყოს, რათა მათ შემადგენლობაში შემავალი ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა შეესაბამებოდეს სამინისტროს მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.‘‘;

ბ) ,,ვ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ვ) მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის შესახებ.‘‘.

4. ბრძანებით დამტკიცებული №6 დანართის (სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. დაწესებულების მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საანალიზოდ აღების დროს დგება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამკურნალო საშუალების სინჯის აღების აქტი.‘‘.

5. ბრძანებით დამტკიცებული №7 დანართის (ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერისა და განადგურების წესი) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ცენტრალიზებული წესით შეძენილი ან/და ჰუმანიტარული გზით მიღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერა-განადგურებაზე სავალდებულოა სამინისტროს თანხმობა.

6. ბრძანებით დამტკიცებული №23 დანართის (ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელ დაწესებულებაში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესი):

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აღნიშნული დანართი არეგულირებს მხოლოდ იმ ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტის) (შემდგომში – სამკურნალო საშუალება) მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესს, რომელიც გამოიყენება ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისას. ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისას სამკურნალო საშუალებების ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.‘‘;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სამარაგოში განთავსებული სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს ამ ბრძანების №24 დანართით გათვალისწინებული ფორმის, ზონარგაყრილ, დანომრილ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.‘‘.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-57/ნ

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ნუსხისა და მათი ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის №22/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ნუსხისა და მათი ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის №22/ნ ბრძანებაში (სსმ III, №12, 04/02/2004) შეტანილ იქნეს ცვლილება და №2 დანართის (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის წესები):

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. სამკურნალო საშუალებების იმპორტი და ექსპორტი ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტისა და ამავე სააგენტოს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სანებართვო მოწმობის საფუძველზე.‘‘.

2. **მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. სამკურნალო საშუალებების გამოწერა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებებისგამოსაწერი რეცეპტის ბლანკის“ ფორმა №2 რეცეპტის ბლანკზე. ავადმყოფის ამბულატორიულ ბარათში სათანადო ჩანაწერით ფიქსირდება ფორმა №2 რეცეპტის ბლანკის ნომერი და წამლის დანიშვნის დასაბუთება.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-59/ნ

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

,,ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი, 110615003, 15/06/2011, 470230000.22.035.016081) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის შემენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გატანისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოებს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაცემული, ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტი.''.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №54/ნ

2018 წლის 3 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov,ge, 110916018, 21.09.2011წ.,430210000.22.022.016191) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულება) ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით ან/და მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა.“;

ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„3. ეს წესი ადგენს სტუდენტისათვის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის, დაწესებულებაში შიდა მობილობის, ასევე დაწესებულებებს შორის მობილობის საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა (გარდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე გაცემული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა) და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანისა და სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის გაზრდის შემთხვევაში მასზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესსა და პირობებს.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო 300-კრედიტიან პროგრამაზე სწავლა – არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 6 წლის განმავლობაში);

ვ) ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო 300-კრედიტიან პროგრამაზე სწავლა – არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 6 წლის განმავლობაში).“;

გ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ზღუდავს სტუდენტს, რომელმაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.“;

დ) მე-6 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტს სახელმწიფო სასწავლო გრანტი/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი შეუძლია გადაიტანოს შესაბამისი სასწავლო წლის პირველი ნოემბრიდან/15 ნოემბრიდან ან პირველი აპრილიდან, ჩარიცხვის ბრძანების თარიღის შესაბამისად, ამ წესის მე-7 მუხლის გათვალისწინებით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ.ბ) მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საქართველოში მობილობის/შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტი სწავლას აგრძელებს თავდაპირველი საგანმანათლებლო პროგრამისგან განსხვავებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა დაფინანსდება თავდაპირველი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დაფინანსებისათვის დარჩენილი წლების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს მიმღები საგანმანათლებლო პროგრამისათვის ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წლების განმავლობაში.";

ე) მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მფლობელი სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლას აგრძელებს იმავე ან სხვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტი მის მიერ თავდაპირველად მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს გამოიყენებს ამ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად და მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

4. თუ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლას აგრძელებს იმავე ან სხვა დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი მის მიერ თავდაპირველად მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს გამოიყენებს ამ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით.";

ვ) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგრანტო კონკურსის შედეგად გაზრდილი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტით შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ფინანსდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წლების ფარგლებში, სწავლის დარჩენილი დროის განმავლობაში.";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. საგრანტო კონკურსის შედეგად მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტით შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ფინანსდება მოპოვებიდან ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წლების ფარგლებში.

4. თუკი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების/საგრანტო კონკურსის შედეგად მოპოვებულ ნაწილობრივ სახელმწიფო სასწავლო გრანტს შეივსებს სოციალური პროგრამის ფარგლებში, ეს უკანასკნელი გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საგრანტო კონკურსის შედეგად მოპოვებული გრანტის ხანგრძლივობით, ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით. სხვა შემთხვევაში, სტუდენტის მიერ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტით შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა დაფინანსდება მოპოვებიდან ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წლების ფარგლებში.“;

თ) მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12-მე–16 პუნქტები:

„12. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89[13] მუხლის თანახმად, ვეტერინარის ბაკალავრიატის 240-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017 წლის ჩათვლით ჩარიცხული სტუდენტების ვეტერინარიის ინტეგრირებულ საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის შემთხვევაში, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამით სტუდენტის სწავლა დაფინანსდება სტუდენტის მიერ თავდაპირველი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დაფინანსებისათვის მიღებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობისა და დაფინანსებული წლების გამოკლებით დარჩენილი წლების გათვალისწინებით, არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.

13. იმ სტუდენტებზე, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგრამ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ვერ მიმართეს, ვინაიდან დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, შეეზღუდა სტუდენტთა მიღების უფლება ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება და 2018-2019 სასწავლო წელს ჩაირიცხნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ 5[1] მუხლით გათვალისწინებული რიგგარეშე მობილობით, გამარტივებული წესით, არ გავრცელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ 39-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

14. იმ დაწესებულების სტუდენტების გრანტები, რომლებმაც დაკარგეს ავტორიზაცია ან დაკარგეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აკრედიტაციაზე უარის თქმის/აკრედიტაციის გაუქმების გამო და 2018 წლის შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობით ჩაირიცხნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების გრანტები დაანგარიშებულ იქნეს ამ წესის მე-5 მუხლის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის 2018 წლის 14 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით.

15. იმ პირების გრანტები, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წელს მოიპოვეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, თუმცა ვერ ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების გამო და შემდგომ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩაირიცხნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაანგარიშებულ იქნეს ამ წესის მე-5 მუხლის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის 2018 წლის 14 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით.

16. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტების/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების გრანტების გაანგარიშებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის წარდგენისათვის დადგინდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №1225 ბრძანებისაგან განსხვავებული ვადა და დაევალოს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრისა.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №267/04

2018 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

-„საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 110408016; 12.04.2011, სარეგისტრაციო კოდი: 220090000.18.011.016025) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) **„ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ტ) ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში – ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, ადვოკატის, საადვოკატო ბიუროს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის, საპენსიო სააგენტოს ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი კლიენტის (კლიენტების), მონაწილეების ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხავად;

უ) ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში – ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, ადვოკატის, საადვოკატო ბიუროს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის, საპენსიო სააგენტოს ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ანგარიში, რომელიც გამოიყენება კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი ერთი კლიენტის, მონაწილეების ან/და ერთი რეგისტრირებული მესაკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „ჩ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც“ და „ძ“ ქვეპუნქტები:

„ც) საპენსიო სააგენტო – „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებისათვის, მართვისა და ადმინისტრირებისათვის;

ძ) მონაწილე – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საპენსიო შენატანს ან/და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება საპენსიო შენატანი საპენსიო სააგენტოს დაგროვებით საპენსიო სქემაში.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის/მონაწილის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.

2. ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი პირი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების), მონაწილის (მონაწილეების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის/მონაწილის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე.“;

3. მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1.) ნომინალური მფლობელობის ანგარიში საპენსიო სააგენტოს გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

ა) განაცხადი ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;

ბ) შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრიდან მოპოვებული ამონაწერი;

გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №9

2018 წლის 3 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირაოს მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ადგენს**:

მუხლი 1

„საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირაოს მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 04/04/2018; ს/კ: 220010070.11.004.016052) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **მე-4 მუხლის**:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1) სესხი უნდა შეესაბამებოდეს ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.“;

ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასესხო აქტივების დაგირავების მომენტში, კომერციული ბანკის სასარგებლოდ პირველი რიგის იპოთეკით დატვირთული უნდა იყოს უძრავი ქონება (ქონებები) და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 85%-ს.

5. მსესხებლისა და თანამსესხებლის (იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემის მომენტში გათვალისწინებულია თანამსესხებლის შემოსავლები) სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს დანართი 1-ით განსაზღვრულ კოეფიციენტებს. ამასთან, სესხის მომსახურების კოეფიციენტის დათვლისას „ყოველთვიური გადასახდელები“ და „ყოველთვიური წმინდა შემოსავლები“ უნდა შეესაბამებოდეს ფიზიკური პირებზე სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში – ეროვნული ბანკის, საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და კორპორატიული ბონდები ამავე სისტემის წესების შესაბამისად.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

3. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. გარდამავალი დებულებანი

2018 წლის 4 აპრილის მდგომარეობით ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაგირავებულ სასესხო აქტივებზე 2019 წლის 12 დეკემბრამდე არ ვრცელდება ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.“.

4. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

დანართი

ყოველთვიური წმინდა შემოსავლების მოცულობა ლარში	სესხის მომსახურების კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი არა ჰეჯირებული მსესხებლებისათვის	სესხის მომსახურების კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი ჰეჯირებული მსესხებლებისათვის
<=1,000	20%	20%
1,000-3,000	20%	25%
3,000-5,000	20%	30%
5,000-7,000	25%	40%
7,000-10,000	30%	50%
თუ მსესხებლის/თანამსესხებლის ყოველთვიური წმინდა შემოსავლები აღემატება 10,000 ლარს, სესხის მომსახურების კოეფიციენტი შესაძლებელია განისაზღვროს სესხის გამცემი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად, თუმცა ამან არ უნდა გამოიწვიოს მსესხებლის/თანამსესხებლის ჭარბვალიანობა.		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №445

2018 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 112-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 28-ე–32-ე **პუნქტები**:

„28. 2018 წლის 1 იანვრამდე იმპორტირებული, მიწოდებული ან საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი სეს ესნ-ის 2205 სასაქონლო პოზიციაში მოქცეული საქონლის იდენტიფიცირების მიზნით, იდენტიფიცირების საშუალებად გამოყენებულ იქნეს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული ადგილობრივი ნაწარმის იდენტიფიცირებისათვის განკუთვნილი მატერიალური ფორმის იდენტიფიცირების საშუალებები (შემდგომში – იდენტიფიცირების საშუალება).

29. ამ მუხლის 28-ე პუნქტით გათვალისწინებული საქონლის იდენტიფიცირების საშუალებების მოთხოვნით, გადასახადის გადამხდელი (პირი, რომელსაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგებში ნაშთად ერიცხება ამ მუხლის 28-ე პუნქტით გათვალისწინებული საქონელი) უფლებამოსილია, მიმართოს შემოსავლების სამსახურს 2018 წლის 15 დეკემბრამდე, დანართი №VIII-02 დამტკიცებული ფორმით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

30. ამ მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი და მიღებული იდენტიფიცირების საშუალებებით საქონლის იდენტიფიცირება გადასახადის გადამხდელის მიერ უნდა განხორციელდეს იდენტიფიცირების საშუალებების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

31. შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს ამ მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი იდენტიფიცირების საშუალებების უსასყიდლოდ გაცემას პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მომართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

32. ამ მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი იდენტიფიცირების საშუალებების უსასყიდლოდ გაცემისას, გადასახადის გადამხდელი და შემოსავლების სამსახურის შესაბამისი პირი ადგენენ აქტს იდენტიფიცირების საშუალებების მიღება-ჩაბარების შესახებ.“.

2. **დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №**VIII-02.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დანართი №VIII-02

სპეციფიკაცია იდენტიფიცირების საშუალებების მოთხოვნაზე

№	სეს ესწ-ის კოდი	საქონლის დასახელება	გამოყენებული ნაწარმის მოცულობა	იდენტიფიცირების საშუალებების რაოდენობა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №34124

2018 წლის 3 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8) 9^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^3. საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო

საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო ახორციელებს:

ა) შესაბამის შემთხვევებში, გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი იმ დეკლარაციების მონაცემების დამუშავებას, რომლებთან დაკავშირებითაც ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ, საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი დეკლარაციების ანალიზის შედეგად, განისაზღვრა რისკის ფაქტორების არსებობა. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო დასკვნის/შესაგებლის მომზადებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ განხილვას და შესაბამის რეაგირებას. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის გადასახადის გადამხდელისათვის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, მათ შორის სათანადო შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის შესაგებლის/მოთხოვნის სისწორეზე დასკვნის მომზადებას და დეპარტამენტის უფროსისთვის დასამტკიცებლად წარდგენას. შესაბამისი დოკუმენტაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის წარდგენას;

გ) არასაგადასახადო შემოსავლების (სხვა შემოსულობის) სახით გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და მის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას მიღებული ინფორმაციის ხელმძღვანელობისათვის წარდგენას ანალიტიკური დეპარტამენტისთვის გადასაგზავნად. ამ უკანასკნელის მხრიდან შემდგომში, საგადასახადო კონტროლისათვის გადასახადის გადამხდელთა შესარჩევად, ზოგადი ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისას გამოსაყენებლად;

ე) დეპარტამენტის მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნასთან დაკავშირებით განხორციელებული სათანადო პროცედურებიდან გამომდინარე დაბრუნებული თანხების ან/და გაგზავნილი შესაგებლების შესახებ შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

ვ) ამ მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელებთან კომუნიკაციის განხორციელებას;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების მიზნით, შესაბამისი „მოთხოვნის“ წარმოდგენაზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ იმ გადასახადის გადამხდელის ინფორმირებას, რომელთაც პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხებათ ზედმეტად გადახდილი გადასახადი;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე საგადასახადო დავებში მონაწილეობას ან/და საგადასახადო დავებთან დაკავშირებით დავის განმხილველი ორგანოს მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებას და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას;

ი) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულებას.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №35162

2018 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე “ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის დებულების (დანართი №5):**

ა) **მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,, ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,, ზ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,ზ^{1}) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის ინტერნეტაუქციონის გზით რეალიზაციას. აღნიშნული საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებით დღგ-ს შესახებ ინფორმაციის საგადასახდო ორგანოში წარდგენას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფას.მალფუჭებადი საქონლის მყიდველისათვის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატის გადაცემას;“;

ბ) მე -6 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტის ვ^{1} ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ვ^{2}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ[2]) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის ინტერნეტაუქციონის გზით რეალიზაცია. ამ მიზნით, შესაბამისი განცხადების/მონაცემების განთავსება ვებგვერდზე ,,www.eauction.ge“. გამოცხადებული ინტერნეტაუქციონის დასრულების პროცესის მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს ინფორმირება / შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა ;“ ;

ბ.ბ) მე -2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,დ[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,დ[1]) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის ინტერნეტაუქციონის გზით რეალიზაციასთან დაკავშირებით დღგ-ს შესახებ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფა. მალფუჭებადი საქონლის მყიდველისათვის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატის გადაცემას. ასევე, ანალიტიკური დეპარტამენტის გადახდევინების უზრუნველყოფის სამმართველოსათვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენას თანხების მოძრაობასთან/ პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველსაყოფად ;“ .

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების (დანართი №10) :

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მ[1]) ანალიტიკური დეპარტამენტიდან მიღებული შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, ქონებაზე, მათ შორის მალფუჭებად საქონელზე ყადაღის დადებას და სალაროდან ნაღდი ფულის ამოღებას. აგრეთვე, ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ან საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის მომზადებას ;“ ;

ბ) 11[2] მუხლის:

ბ.ა) ,, დ “ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ყადაღადადებული ქონების (გარდა მალფუჭებადი საქონლისა) აუქციონზე რეალიზაციის უფლების მოპოვების მიზნით შესაბამისი მასალების შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისთვის გადაგზავნა ;“ ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ბ) ,,3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ან საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის მომზადება ;“ ;

ბ.გ) ,,3“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,, 3[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,3[1]) ყადაღადადებულ მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის/საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების), ასევე მალფუჭებად საქონლზე ყადაღის დადების შესახებ მასალების/ინფორმაციის (რაც აუცილებელია ინტერნეტაუქციონის გამოცხადებისთვის) ფინანსური დეპარტამენტისათვის წარდგენას ;“ .

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის დებულების (დანართი №14) :

ა) მე -14 მუხლის:

ა.ა) ,, ე “ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო გირავნობით/ იპოთეკით დატვირთული და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან ინტერნეტაუქციონზე მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე ჩარიცხვის შემდგომ, შესაბამის სახაზინო კოდებზე თანხების განაწილება – გადასახადის სახეების მიხედვით ;“.

ა.ბ) ,,ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ე[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,ე[1]) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის თანხის საქონლის მესაკუთრის სახელით ბიუჯეტში გადახდა;“ .

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგი

19.12.2018

2018 წლის 19 დეკემბერს, გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 15 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.6648 შეადგინა.

ცვლილებები სესხის გამცემ სუბიექტებთან დაკავშირებულ რეგულაციებში

18.12.2018

საფინანსო სექტორში დაგეგმილ რეგულაციებში, რომელიც სესხის გამცემი სუბიექტების ეროვნულ ბანკში რეგისტრაციას უკავშირდება, ცვლილებები შევიდა. კერძოდ, ცვლილებები განხორციელდა სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტაციის წესსა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის წესში.

ცვლილებების მიხედვით, სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესში, საოპერაციო ფართზე სარეგისტრაციო მოთხოვნა 20-დან 15 კვ/მ-მდე შემცირდა. ასევე, სესხის გამცემ სუბიექტს, ეროვნულ ბანკში ვალუტის გადამცვლელ პუნქტად დარეგისტრირების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება, ნაღდი ვალუტის გაცვლის ოპერაციები განახორციელოს.

ცვლილება შევიდა ასევე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის წესში, რომლის მიხედვითაც, სესხის გამცემი სუბიექტი უფლებამოსილია არ მიაწოდოს ბიუროს პირის შესახებ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელ ფიზიკურ პირზე გაიცემა 3 000 (სამი ათასი) ლარამდე მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი და, ამავდროულად, სესხის გამცემი სუბიექტის მოთხოვნა მსესხებელი ფიზიკური პირის მიმართ დაკმაყოფილებულად ითვლება მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციით ან/და დასაკუთრებით) განხორციელებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამასთან გაცნობებთ, რომ სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციის ვალდებულების მქონე პირებს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენა ეროვნულ ბანკში 2018 წლის 20 დეკემბრიდან შეეძლებათ.

ფულადი გზავნილები ნოემბერში

14.12.2018

2018 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 133.1 მლნ აშშ დოლარი (358.9 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 9.0 პროცენტით (11.0 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93.6 პროცენტი იმ 17 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ნოემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 17 ქვეყანაზე გასული წლის ნოემბერში მთელი ფულადი გზავნილების 93.3 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა ნოემბერი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		ნოემბერი, 2017	ნოემბერი, 2018
სულ	133.1	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	47.79	31.50	35.91
მათ შორის:			
იტალია	16.49	10.53	12.39
საბერძნეთი	14.62	10.21	10.99
გერმანია	3.58	2.58	2.69
ესპანეთი	3.20	2.67	2.40
პოლონეთი	2.22	0.40	1.67
საფრანგეთი	1.72	1.28	1.29
გაერთიანებული სამეფო	1.33	1.11	1.00
კვიპროსი	1.15	0.54	0.87
დანარჩენი ქვეყნები, სულ	85.29	68.50	64.09
მათ შორის:			
რუსეთი	37.79	32.06	28.40
აშშ	13.07	9.46	9.82
ისრაელი	13.02	9.38	9.79
თურქეთი	7.56	7.79	5.68
უკრაინა	2.64	2.04	1.98
აზერბაიჯანი	1.97	1.28	1.48
ყირგიზეთი	1.71	0.19	1.28
ყაზახეთი	1.31	0.91	0.98
კანადა	1.23	0.84	0.92

2018 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 19.7 მლნ აშშ დოლარი (53.10 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 19.9 მლნ აშშ დოლარისა (53.08 მლნ ლარისა) გასული წლის ნოემბერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

ამორტიზაციის ნორმის არჩევა 0266

ფაქტობრივი გარემოებები

საწარმომ დადგენილ ვადაში წარმოადგინა 2011 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითულია ამავე პერიოდში ექსპლუატაციაში გადაცემული ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხები სსკ-ის 111-ე მუხლით განსაზღვრული ამორტიზაციის ნორმის გათვალისწინებით.

2013 წლის 31 მარტს საწარმომ წარმოადგინა 2011 წლის შესწორებული და 2012 წლის პირველადი დეკლარაციები, რომელთა მიხედვით შესაბამის საანგარიშო პერიოდებში ექსპლუატაციაში შესული ძირითადი საშუალებების ღირებულება სსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად სრულად გამოქვითა ამავე პერიოდების ერთობლივი შემოსავლიდან.

შეფასება

სსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალება ექსპლუატაციაში შევიდა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, არჩეული გამოქვითვის ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, გამოქვითვის ასეთი ნორმის არჩევა უნდა მოხდეს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

საწარმოს მიერ 2011 წლის (ექსპლუატაციაში შესვლის პერიოდის) პირველადი დეკლარაციის წარდგენისას ამორტიზაციის გამოქვითვის ნორმა 111-ე მუხლით არის განსაზღვრული, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ 2011 წელს არ ყოფილა არჩეული ამავე კოდექსის 112-ე მუხლით განსაზღვრული სრული გამოქვითვის ნორმა.

2011 წელს ექსპლუატაციაში შესულ ძირითად საშუალებებზე უნდა გაგრძელდეს ამორტიზაციის დარიცხვა და ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვა სსკ-ის 111-ე მუხლით განსაზღვრული ამორტიზაციის ნორმების მიხედვით.

ღონისძიებები

2011 წლის შესწორებული დეკლარაციით ერთობლივი შემოსავლიდან სრულად გამოქვითული ამორტიზაციის თანხა ექვემდებარება შემცირებას.

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენება სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვითვა 0267

ფაქტობრივი გარემოებები

2014 საანგარიშო წლის მიხედვით წარდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაში საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში ჩართული აქვს მიწაზე ქონების გადასახადი.

I ვარიანტი:
საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2015 წლის თებერვალში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არა უგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

II ვარიანტი:
საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის მარტში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2014 წლის 1 აპრილისა.

III ვარიანტი:
საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის აგვისტოში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

შეფასება

სსკ-ის 203-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. ამავე კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო წლად ითვლება კალენდარული წელი. სსკ-ის 205-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი, ხოლო ქონების გადასახადის დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

I და III ვარიანტში:
იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2015 წლიდან, იგი არ არის უფლებამოსილი 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი.

II ვარიანტში:
იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2014 წლიდან, იგი უფლებამოსილია 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი.

ღონისძიებები

I და III ვარიანტში:
პირი დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

II ვარიანტში:
პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვითვა“ №0267

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 2014 საანგარიშო წლის მიხედვით წარდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაში საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში ჩართული აქვს მიწაზე ქონების გადასახადი. სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2015 წლის თებერვალში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არა უგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა. მეორე შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის მარტში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2014 წლის 1 აპრილისა. ხოლო მესამე შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის აგვისტოში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

სსკ-ის 203-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. ამავე კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო წლად ითვლება კალენდარული წელი. სსკ-ის 205-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი, ხოლო ქონების გადასახადის დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

პირველ და მესამე შემთხვევებში, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2015 წლიდან, იგი არ არის უფლებამოსილი 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი. ხოლო მეორე შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2014 წლიდან, იგი უფლებამოსილია 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წილის შეძენის მიზნით გადახდილი თანხების გამოქვითვა 0268

ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიას 2011 წელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, სახელმწიფო შპს-ის 100% წილის შეძენასთან დაკავშირებით. წილის ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით და 5-წლიანი საინვესტიციო ვალდებულებით (ყოველწლიური ფულადი შენატანის სახით). ფულადი შენატანების დროს შედგენილია კომპანიის საოქმო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ.

კომპანიამ 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 100 000 ლარი. ამასთან, ხელშეკრულების მოშლამდე საგადასახადო პერიოდებში ინვესტირებულმა თანხამ შეადგინა 1 500 000 ლარი, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

კომპანიამ ინვესტირებული თანხა 1 500 000 ლარი და პირგასამტეხლო 100 000 ლარი მიიჩნია წილის შეძენისთვის გაწეულ ხარჯად და ასახა ხელშეკრულების მოშლის საანგარიშო პერიოდის (2013 წლის) ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში.

შეფასება

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტირებული (1 500 000 ლარი) და პირგასამტეხლო (1 000 000 ლარი) განხილულ უნდა იქნეს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ გამოსაქვით ხარჯად.

ღონისძიებები

პირის ქმედებამი საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„წილის შეძენის მიზნით გადახდილი თანხების გამოქვითვა“ №0268

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სახელმწიფოსაგან სიმბოლურ ფასად (1 ლარი) შეძენილი 100%-იანი წილის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლამდე საანგარიშო პერიოდებში პარტნიორის (კომპანიის) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ინვესტირებული საწარმოს კაპიტალში განხორციელებული შენატანის და პირგასამტეხლოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის მიხედვით, კომპანიამ 2011 წელს სახელმწიფოსთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შპს-ის 100% წილის შეძენასთან დაკავშირებით. წილის ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით და 5 წლიანი საინვესტიციო ვალდებულებით (შპს-ს კაპიტალში ყოველწლიური ფულადი შენატანის სახით). ფულადი შენატანების დროს შედგენილია კომპანიის საოქმო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ.

კომპანიამ 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 100 000 ლარი. ამასთან, ხელშეკრულების მოშლამდე ინვესტირებულმა თანხამ შეადგინა 1 500 000 ლარი, რომელიც სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

კომპანიამ ინვესტირებული თანხა 1 500 000 ლარი და პირგასამტეხლო 100 000 ლარი მიიჩნია წილის შეძენისთვის გაწეულ ხარჯად და ასახა ხელშეკრულების მოშლის საანგარიშო პერიოდის (2013 წლის) ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში.

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტირებული თანხა (1 500 000 ლარი) და პირგასამტეხლო (100 000 ლარი) განხილულ უნდა იქნეს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ გამოსაქვით ხარჯად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

არამატერიალური აქტივების გამოქვითვა 0217



- *აღნიშნული წლები აღებულია პირობითად და იგივე მიდგომა გავრცელდება ნებისმიერ საანგარიშო პერიოდზე*
- *სახელმძღვანელოში მოყვანილი თანხა აღებულია პირობითად და მას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს*
- *აღნიშნული სახელმძღვანელო გამოიყენება როგორც საწარმოს, ისე მუნიციპალური პირის შემთხვევაში*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა №0244

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა“ №0244

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიზანია უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის თაობაზე 0244 მენუალის კორექტირება. კერძოდ, არსებული რედაქციით, უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი ანგარიშ-ფაქტურის/ზედნადების გამოწერა ექვემდებარება ამ დოკუმენტების გამომწერი პირის ერთობლივ შემოსავალში და დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში ჩართვას აღნიშნულის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) ფაქტობრივი საკომპენსაციო თანხის მიხედვით.

შემოთავაზებული რედაქცია ითვალისწინებს ფაქტობრივი გარემოების 2 ვარიანტს. კერძოდ, როდესაც საგამოძიებო ორგანოების მიერ:

- დადგენილია რომ, გამომწერმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები გამოწერა გარკვეული თანხის სანაცვლოდ;

- საგამოძიებო/საგადასახადო ორგანოს მიერ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი.

ვარიანტი I: დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) თანხა ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ თანხაში.

ვარიანტი II: იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი. მასში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხა არ ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com